ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 101
(11 762)

30. XII. 2003 წ. – 6. I. 2004 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გილოცავთ ახალ წელს!

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ირაკლი მეძმარიაშვილის საახალწლო მიმართვა

საქართველოს სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის მუშაკებს, ვეტერანებს, ჟურნალისტებს, გულშემატკივრებს!

ძვირფასო მეგობრებო!

კარს მოგვადგა ახალი, 2004 წელი, ქართული სპორტისთვის და მთლიანად ქვეყნისთვის დიდი იმედების მოლოდინის წელიწადი. ქართული სპორტული სამყაროს საერთო გულისყური დღეს მიპყრობილია ათენისკენ, სადაც გაიმართება 2004 წლის ყველაზე გრანდიოზული სპორტული ფორუმი — ზაფხულის ოლიმპიური თამაშები. განვლილმა წელმა ამ ოლიმპიადისათვის მზადების ნიშნით ჩაიარა. 2003 წელი ბარაქიანი გამოდგა ქართული სპორტის უახლეს ისტორიაში — მოპოვებულია თვალსაჩინო პირადი და გუნდური წარმატებები მსოფლიო და ევროპის სარბიელზე. 15-მა ჩვენმა სპორტსმენმა უკვე მოიპოვა ათენში საასპარეზო ლიცენზია.

მინდა გამოვთქვა ღრმა რწმენა, რომ ჩვენი ერთიანობით და ურთიერთთანადგომით 2004 წელს ახალ-ახალი მიღწევებით კიდევ უფრო გამდიდრდება ქართული სპორტი, იმედია, რომ სწორედ ამ წელს ასრულდება ჩვენი საერთო ოცნება — ათენში, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოლიმპიური ჩემპიონის პატივსაცემად აჟღერდება საქართველოს ჰიმნი და აფრიალდება ჩვენი ეროვნული დროშა.

წარმატებები ყოფილიყოს ჩვენი განუყრელი თანამდევი ყველა საქმესა და პირად ცხოვრებაში.

ირაკლი მეძმარიაშვილი,
საქართველოს სპორტის
სახელმწიფო დეპარტამენტის
თავმჯდომარე.

„შავი ქამარი“ მიხეილ სააკაშვილისათვის

„ვარდების რევოლუცია კარატეს პრინციპით“ — ასეთი წარწერა ჰქონდა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის მოსაწვევს, რომლებიც სასტუმრო „მერიოტში“ პრესკონფერენციაზე ეპატიჟებოდა სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს.

რა საერთო აქვს კარატეს, ამ ცოტა ხნის წინათ ჩვენში განხორციელებულ რევოლუციასთან? ამაზე პრესკონფერენციაზე მინიშნებებით იყო ლაპარაკი, თუმცა, კარატეს პრინციპებს ვინც კარგად იცნობს, ისედაც არ იყო პარალელების გავლება ძნელი. კარატე ხომ შიშველი ხელით ბრძოლის ხელოვნებაა — ეს არის მთავარი.

პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ წარმოგვიდგინა „შავი ქამარი“, რომლითაც საერთაშორისო ფედერაციამ დააჯილდოვა „ვარდების რევოლუციის“ მთავარი შემოქმედი მიხეილ სააკაშვილი.

სხვათა შორის, გაერთიანება-გამთლიანება კარატეშიც მოხდა. აქამდე არსებული რამდენიმე ფედერაცია ერთ ორგანიზაციად გარდაიქმნა, ანუ კარატე-დოს ფედერაციის ირგვლივ გაერთიანდა. ეს იყო მათი პირველი ერთობლივი პრესკონფერენცია, რომელზედაც შეჯამდა 2003 წლის სპორტული შედეგები. სათქმელი და თავმოსაწონი საკმაოზე მეტი იყო. მარტო ევროპის ჩემპიონატში, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა, მოპოვებულია 84 მედალი სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. შეიქმნა შავი და კასპიის ზღვის აუზების საერთაშორისო რეგიონული ფედერაცია, რომელიც 2004 წელს გეგმავს თავის პირველ ჩემპიონატს. ეს იქნება ახალი, წინგადადგმული ნაბიჯი კარატეს შემდგომი განვითარებისათვის ხსენებული რეგიონების ქვეყნებში. „ფედერაციის შექმნას წინ უსწრებდა ფართო მასშტაბის სამუშაოები და დღეს ყველას მადლობას მოვახსენებთ მხარში დადგომისათვის“ — თქვა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **თემურ რამიშვილმა**. მანვე ილაპარაკა თურქეთის წლევანდელი ტურნირის გრანდიოზულობაზე, მის მნიშვნელობაზე და მოპოვებულ წარმატებებზე.

ვიცე-პრეზიდენტმა **თემურ ჯორჯაძემ** ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ კარატისტთა წარმატებები სათანადოდ არ ფასდება, იგივე ითქმის სხვადასხვა რეფერენდუმებზე, სადაც, საერთოდ ვერ შეხვდებით კარატეს წარმომადგენლებს.

პრესკონფერენციაზე სიამაყით ითქვა, რომ კარატე უკვე ინერგება ქართულ არმიაში, შსს სისტემაში და იდგმება ნაბიჯები სასწავლო დაწესებულებებში მის დასამკვიდრებლად, როგორც ეს ბევრ ქვეყანაშია. გაიხსენეს 9 აპრილი, როცა კარატისტებმა და მორაგბეებმა ბევრი ადამიანის სიცოცხლე იხსნეს ხელყოფისაგან, გაიხსენეს „ვარდების რევოლუციის“ დღეებიც, რომ კარატისტები იცავდნენ სახელმწიფო ობიექტებს მოსალოდნელი მარადიორობისგან.

სასიამოვნო ფაქტი მოიტანა ვიცე-პრეზიდენტმა **ზურაბ ლეჟავამ**. თურმე პანკისში და ცხინვალის რეგიონის ქართულ სკოლებში კარგა ხანია წარმატებით მუშაობს კარატეს შემსწავლელი ჯგუფები. „კარატე ეფექტური საშუალებაა არა მხოლოდ საბრძოლო ხელოვნების ასათვისებლად, არამედ ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლაში“ — განაცხადა ზ. ლეჟავამ.

შეკრებილები ახალი წლის საუკეთესო სურვილებით დაშორდნენ ერთმანეთს.

თ. თომაშვილი.

საქართველოს 2003 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი

1. ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა) – 537
2. მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) – 493
3. კახი კალაძე (ფეხბურთი) – 356
4. რამაზ ნოზაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) – 352
5. ზურაბ აზმაიფარაშვილი (ჭადრაკი) – 257
6. ზურაბ ზვიადაური (ძიუდო) – 249
7. რევაზ მინდორაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) – 220
8. ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) – 219
9. ალექსი დავითაშვილი (ქართული ჭიდაობა, ძიუდო) – 136
10. მუხრან ვახტანგაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) – 103.

საქართველოს 2003 წლის საუკეთესო გუნდი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები – 340

ანკეტებში დასახელებულნი იყვნენ აგრეთვე: საქართველოს ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში (140 ქულა), საქართველოს ნაკრები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში (60), საქართველოს მორაგბეთა ნაკრები (50) და საქართველოს ვაჟ მოჭადრაკეთა ნაკრები (10).

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვის ლაურეატები

1964 — სლავა მეტრეველი, 1965 — ომარ ფხაკაძე, 1966 — ალექსანდრე მეტრეველი, 1967 — ზურაბ საკანდელიძე, 1968 — ვიქტორ სანეევი, 1969 — ნონა გაფრინდაშვილი, 1970 — თინათინ ლეკვეიშვილი, 1971 — ლევან თედიაშვილი, 1972 — ვიქტორ სანეევი, 1973 — ლევან თედიაშვილი, 1974 — ლევან თედიაშვილი, 1975 — ნონა გაფრინდაშვილი, 1976 — ვიქტორ სანეევი, 1977 — დავით კვაჭაძე, 1978 — მაია ჩიბურდანიძე, 1979 — თემურ ხუბულური, 1980 — ქეთევან ლოსაბერიძე, 1981 — რამაზ შენგელია, 1982 — მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1983 — თეიმურაზ აფხაზავა, 1984 — მაია ჩიბურდანიძე, 1985 — დავით გობეჯიშვილი, 1986 — მაია ჩიბურდანიძე, 1987 — ლერი ხაბელოვი, 1988 — ნინო სალუქვაძე, 1989 — არ ჩატარებულა, 1990 — დავით გობეჯიშვილი, 1991 — არ ჩატარებულა, 1992 — კახი კახიაშვილი, 1993 — კახი კახიაშვილი, 1994 — მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1995 — გიორგი ვაზაგაშვილი, 1996 — ელდარ კურტანიძე, 1997 — გიორგი კანდელაკი, 1998 — გიორგი ასანიძე, 1999 — ნინო სალუქვაძე, 2000 — გიორგი ასანიძე, 2001 — გიორგი ასანიძე, 2002 ელდარ კურტანიძე, 2003 — ელდარ კურტანიძე.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა რჩეულნი

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ქვეყნის წლის საუკეთესო სპორტსმენისა და გუნდის გამოსავლენი გამოკითხვა ოცდამეთვრამეტედ ჩაატარა. 2003 წლის რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო 60-მა ჟურნალისტმა. ანკეტებში დასახელებულია სპორტის 13 სახეობის 35 წარმომადგენელი და 5 გუნდი.


1

2

ისევე, როგორც შარშან, ჟურნალისტთა რჩეული გახდა თავისუფალი სტილით მოჭიდავე **ელდარ კურტანიძე**, რომელიც ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად მესამედ აღიარეს. ის ერთადერთია, უკლებლივ ყველა ანკეტაში რომ მოხვდა (31 პირველი ადგილი, 14 — მეორე, 9 — მესამე, 2 — მეოთხე, 1 — მეხუთე, 3 — მერვე). მან მაქსიმალური 600 შესაძლებელი ქულიდან 537 დააგროვა და 44 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ **მანუჩარ კვირკველიას** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). მესამე ადგილზე საქართველოს ნაკრების და იტალიური „მილანის“ ფეხბურთელი **კახი კალაძე** გავიდა (356 ქულა).

3

4


5

6

7


8

9

10

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები

ეროვნული

გურამ საღარაძე: „საქართველო, უპირველეს ყოვლისა!“

ქართულ სპორტს ღირსეულ მამულიშვილთა ერთგულება იმთავითვე მოსდგამს, ტრადიცია კი გრძელდება. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში გურამ საღარაძეს „ლელოს“ მკითხველის წინაშე განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. იგი მუდამ გვერდში ედგა და უდგას ქართულ სპორტს, იზიარებს მისი წარმატებებით გამოწვეულ სიხარულს და სხვებზე მეტად სწუხს იმ ხელშემშლელი მიზეზების გამო, რომელიც აფერხებს ქართული სპორტის წინსვლას.

დიდი ხანი არაა, რაც საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი – გოჩა ძასოხოვი, გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაშვილი) თავის შემადგენლობაში გააერთიანა ქართველ ფალავანთა ყველა წარმატებათა უშრეტი, თავანკარა წყარო, ჩვენი ეროვნული საუნჯე – ქართული ჭიდაობა. ფედერაციის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქართული ჭიდაობის კურატორობა და ხელმძღვანელობა დაევალა ლეგენდარულ ფალავანს, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, თბილისის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარეს, საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, თბილისის საპატიო მოქალაქეს და საზოგადო მოღვაწეს გურამ საღარაძეს. დღეს იგი „ლელოს“ საახალწლო ნომრის სტუმარია.

● ***ბატონო გურამ, მკითხველთათვის, ალბათ, საინტერესო იქნება გვიამბოთ, ორი ფედერაციის შეერთების შედეგად, რა სტატუსი მიეცა და როგორ წარიმართა ქართული ჭიდაობის ფედერაციის საქმიანობა 2003 წელს.***

— გამოინახა ქართული ჭიდაობის მართვის ახალი მექანიზმი — სათათბირო. ფუნქციები განაწილდა სათათბიროს წევრთა შორის, რომლებიც ამავდროულად მიმაგრებული იქნენ რეგიონებზე კურატორებად. რეგიონების ხელმძღვანელებს კი დაეგზავნათ წერილები, რომლებშიც ნათლადაა გამოკვეთილი ის სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც და ერთობლივი ძალისხმევით უნდა წარმართულიყო მუშაობა. სათათბიროს მიერ გადადგმულ ამ ნაბიჯს გარკვეული პრაქტიკული შედეგები მოჰყვა. მთელი ზაფხულის განმავლობაში ქალაქების, რაიონებისა და სოფლების ნახერხმოყრილ საჭიდაო არენებზე, უქმე დღეებში და რელიგიურ დღესასწაულებზე ტარდებოდა შეჯიბრება — ზეიმები მრავალრიცხოვან გულშემატკივართა თანდასწრებით, რომლებიც ოვაციებით ხვდებოდნენ საპატიო სტუმრებს — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს.

ჩავატარეთ სპორტღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული საქართველოს პირველობები ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, ქვემო ქართლისა და დასავლეთ საქართველოს ზონალური პირველობები, ზონებში I-III ადგილზე გასული მოჭიდავეები ერთმანეთს შეერკინენ თბილისში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში.

წლის ბოლოს კი თბილისის სპორტის სასახლეში კვლავ აჟღერდა ჩემპიონთა საფალავნო ჰანგები და თავიანთი ოსტატობა და შემართება გვიჩვენეს რჩეულთა შორის რჩეულმა ფალავნებმა. გამარჯვებულს ახმეტელ ალექსი დავითაშვილს ჯილდოდ გადაეცა მსუბუქი ავტომანქანა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სპორტსმენმა მეექვსედ მოიპოვა ფალავნის წოდება და რეკორდსმენი გახდა ფალავანთა შორის, მეორე ადგილზე გასულმა მოჭიდავემ 1000 დოლარი მიიღო, მესამე პრიზიორმა — 500. გათამაშდა ყველაზე ბედნიერი გულშემატკივრისათვის მსუბუქი ავტომანქანა და სხვა ფასიანი საჩუქრები, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის და ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელებს, აგრეთვე, შეჯიბრების სპონსორებს სააქციო საზოგადოებებს „აგარის შაქარს“, „ბანკ კრედიტს“ და „აჭარას“.

● ***დაგვისახელეთ, რომელ მხარეში, ქალაქსა და რაიონში ექცევა ქართულ ჭიდაობას სათანადო ყურადღება.***

— პირველ რიგში გამოვყოფდი შიდა ქართლისა და კახეთის მხარის შემდეგ რაიონებსა და ქალაქებს: გორს, კასპს, მცხეთას, ქარელს, ხაშურს, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, გურჯაანს, ლაგოდეხსა და ყვარელს. დასავლეთ საქართველოდან — თერჯოლას, ცაგერს, ქუთაისს, ლენტეხს, ზუგდიდს, ლანჩხუთს, ვანს და ოზურგეთს, ასევე ჯეროვან ყურადღებას აქცევენ ქართული ჭიდაობის განვითარებას აჭარისა და აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტების ხელმძღვანელები. რაც შეეხება თბილისს, წარმატებით იბრუნებს ძველ ტრადიციებს. უკვე გაიმართა თბილისის ფალავნობა, ხოლო მიმდინარე წლის ნოემბერში ჩატარდა გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი თბილისის ღია პირველობა ჭაბუკთა შორის დევიზით: „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“, რომელშიც მონაწილეობდა თბილისისა და მეზობელი რაიონების 100-ზე მეტი ყმაწვილი. ვიმედოვნებ, მომავალი წლიდან თბილისის მერია (ბატონი ვანო ზოდელავა, რომელიც ავირჩიეთ თბილისის ჭიდაობის ფედერაციის საპატიო თავმჯდომარედ), სპორტისა და ტურიზმის სამსახური (ბატონი დავით ჭელიძე) გამონახავენ საჭირო სახსრებს ახალშექმნილი ჭიდაობის ფედერაციისათვის.

● ***თუ არის რაიმე ცვლილებები 2004 წლის სპორტღონისძიებათა კალენდარულ გეგმაში?***

— კალენდარულ გეგმაში, რომელიც ამ დღეებში დამტკიცდება, ძირითადი ღონისძიებები იგივე რჩება. დამატებით გათვალისწინებულია მონაწილეობა თურქეთის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც გაიმართება ქ იმერხევში ივლისში. ასევე, თბილისის ნაკრები გუნდი იასპარეზებს საინგილოში, ქ კახში, 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი შეჯიბრება „ქურმუხობაში“. მაისშივე იგეგმება ქ სტრასბურგში საჩვენებელ გამოსვლაში 2 სპორტსმენის მივლინება, რომლებიც ევროპელ მაყურებლებს ქართულ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი გააცნობენ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს, ქართულ ჭიდაობას, ჩვენს ისტორიას, კულტურასა და ადათ-წესებს. ვფიქრობ, ეს იქნება მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს იმიჯის შესაქმნელად.

● ***როგორც ცნობილია, ყოველ წელს ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებში იცვლება შეჯიბრების წესები, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ ჭიდაობაში?***

— ქართული ჭიდაობა არის სპორტის ერთ-ერთი უძველესი, უნიკალური და თვითმყოფადი სახეობა, რომელიც ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებთან. იგი კვებავდა და ასაზრდოებდა მათ ქართული ეროვნული ილეთებით, ვცდილობთ სათუთად მოვეპყრათ წესებს, არ დავუკარგოთ მისთვის დამახასიათებელი რაინდული თვისებები. კიდევ უფრო განვამტკიცოთ ურთიერთკავშირი და შეჯიბრების წესებში ავსახოთ ის მდიდარი გამოცდილება, რაც ამ მხრივ გააჩნია თანამედროვე ჭიდაობის ოლიმპიურ სახეობებს. უდავოა, ყოველივე ეს კიდევ უფრო გაამდიდრებს და მეტ სიცოცხლისუნარიანობას შემატებს ქართულ ჭიდაობას.

შეჯიბრებები გაიმართება 1995 წელს დამტკიცებული ქართული ჭიდაობის შეჯიბრების წესებისა და მასში შეტანილი ცვლილებების მიხედვით: ერთ-ერთი მოჭიდავის მიერ 7 ქულის დაგროვების შემთხვევაში, მას ენიჭება გამარჯვება აშკარა უპირატესობით, ასევე ხალიჩის შიგნიდან დაწყებული და მის გარეთ დამთავრებული ილეთი ფასდება მსაჯთა მიერ. არის ერთი სიახლეც — წონით კატეგორიებს დავუმატეთ 55 კილოგრამი.

გათვალისწინებულია სხვა სიახლენიც, კერძოდ, პირად და გუნდურ შეჯიბრებებში გამარჯვებულ სპორტსმენთა და გუნდების მწვრთნელები დაჯილდოვდებიან ფულადი და ფასიანი საჩუქრებით, სამახსოვრო პრიზებს გადავცემთ შეჯიბრებების 3 საუკეთესო მსაჯს.

საქართველოს პირად ჩემპიონატზე და ფალავნობაში გამარჯვებულ სპორტსმენებს მივანიჭებთ საქართველოს სპორტის ოსტატის წოდებას და გადავცემთ შესაბამის სამკერდე ნიშნებს.

● ***ჩვენდა საბედნიეროდ, საქართველოში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ენთუზიასტთა მრავალრიცხოვანი არმია, ზაფხულის განმავლობაში, უქმე დღეებში, შაბათ-კვირას მართავენ შეჯიბრებებს ნახერხმოყრილ საჭიდაო მოედნებზე. აპირებთ თუ არა მათ წახალისებას რაიმე ფორმით?***

— ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა მათგანს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, „ლელოს“ საშუალებით ვუცხადებ დიდ მადლობას. მომავალში ვეცდებით ყველანაირად შევუწყოთ ხელი ამ მამულიშვილურ საქმიანობაში, მოვამარაგებთ შეჯიბრების წესებით, საჭიდაო ჩოხებით, ადგილებზე მივავლენთ გამოცდილ სპეციალისტებსა და მსაჯებს. მათ მუშაობას ფართო პროპაგანდას გავუწევთ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით. წლის ბოლოს კი საუკეთესო ენთუზიასტებს წავახალისებთ ფულადი და სამახსოვრო ჯილდოებით.

● ***ბატონო გურამ, საიდან იღებს სათავეს თქვენი ასეთი სიყვარულისა ქართული ჭიდაობისადმი?***

— ქართული ჭიდაობა ქართველი ხალხის უძველესი, ულამაზესი და უსაყვარლესი სპორტის სახეობაა, ურომლისოდ უწინ არც ერთი დღეობა, ლხინი თუ თავშეყრა არ ჩაივლიდა. ქართული ჭიდაობის წყალობით ჩვენმა ლეგენდარულმა ფალავნებმა ბრწყინვალე წარმატებები მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებში.

ჩემს დედულეთში, გორის რაიონის სოფელ კარალეთში ხშირად ვესწრებოდი ხოლმე 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულის დროს მოწყობილ შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში. მაშინ 11-12 წლის ყმაწვილი ვიყავი. სწორედ იმ ხანებში გადავწყვიტე მოჭიდავე გავმხდარიყავი. ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მამაჩემი თავის დროს კლასიკურ ჭიდაობაში ფიზიკური ძალით და აღნაგობით გამორჩეული მოჭიდავე გახლდათ, „ასევე ცნობილი მოჭიდავე იყო მამაჩემის ძმა იორამი. მათი ხელშეწყობით ვარჯიში დავიწყე მრავალი სახელოვანი სპორტსმენის აღმზრდელთან შალვა ნოზაძესთან თავისუფალ ჭიდაობაში.

● ***რამდენიმე დღეც და შემოაბიჯებს 2004 წელი, ათენის ოლიმპიური თამაშების წელიწადი. ეს წელი იმითაც იქნება თქვენთვის ღირსშესანიშნავი, რომ 21 მარტს გისრულდებათ დაბადებიდან 65 წელი. რას უსურვებდით ქართველ ოლიმპიელებს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს და თქვენს თავს.***

— ჩვენი ფალავნების 2003 წლის წარმატებებმა დიდი სიხარული მოუტანა საქართველოს. ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე გვიჩვენეს სპორტული სიმამაცის, ვაჟკაცობის და ქართული გენის გამოვლენის ბრწყინვალე მაგალითი. ამიერიდან თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტულის მფლობელია ჭიდაობის ორივე სახეობაში. ამ უპრეცედენტო შემთხვევას ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიო სპორტის ისტორიაში...

რაც შეეხება ათენის ოლიმპიურ თამაშებს, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ვფიქრობ, მოვიპოვებთ რამდენიმე სინჯის ოლიმპიურ მედალს და მათ შორის ოქროც იქნება. ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და ოლიმპიური კომიტეტი, რა თქმა უნდა, ახალი ხელისუფლების დახმარებით, ყველაფერს გააკეთებენ საქართველოს სპორტული დელეგაციის ათენში წარმატებით გამოსვლისათვის.

ეჭვიც არ მეპარება, რომ ახალი მთავრობა მზრუნველობას არ მოაკლებს ჩვენს ოლიმპიელებს, რაც უშედეგოდ არ ჩაივლის, წარმატებები ყოველთვის გვექნება. ვთხოვთ ბიზნესმენებს, მეცენატებს ყურადღება გამოიჩინონ სპორტის დასაფინანსებლად. ალბათ ამ საკითხზე იმსჯელებს ჩვენი პარლამენტი და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, მომრავლდა ნარკომანთა რიცხვი, იმძლავრა პროსტიტუციამ და ალკოჰოლიზმმა. ამ პროცესების შეჩერებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს სპორტმა და მათ შორის ჭიდაობამ, ცხოვრების ჯანსაღი წესის მეშვეობით ჩვენ უნდა მოვწყვიტოთ ქუჩას მოზარდი თაობა და მათი ენერგია, ნიჭი და ტალანტი წარვმართოთ ახალი საქართველოს აღმშენებლობისათვის.

საქართველოს სახელოვანი სპორტსმენები ყოველთვის ვიყავით და ვიქნებით ჩვენი ქვეყნის გადარჩენის სადარაჯოზე. ჩვენ გვინდა მშვიდობა, ქვეყნის შენება, სიყვარული და არა ნგრევა და დაპირისპირება. ქართველი მოჭიდავეები მოუთმენლად ველოდებით საპრეზიდენტო არჩევნების დღეს 4 იანვარს, მზადყოფნას ვაცხადებთ მხარი დავუჭიროთ და ავირჩიოთ საქართველოს პრეზიდენტად მიხეილ სააკაშვილი, რომელსაც გამორჩეულად უყვარს სპორტი და მათ შორის ჭიდაობა.

ჩემი დაბადების დღე მაშინ გამიხარდება, როცა, უპირველეს ყოვლისა, ჩემს საქართველოს ვიხილავ ბედნიერს.

ყველას ვულოცავ შობას და ახალ წელს. სიკეთე და სიხარული ნუ მოაკლოს უფალმა ჩვენს ხალხსა და საქართველოს... ღმერთი იყოს ჩვენი შემწე.

იური იმერლიშვილი.

P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა გურამ საღარაძე შეხვდა ქართული ჭიდაობის ვეტერანებს. მიულოცა მათ ახალი წელი, ფედერაციის პრეზიდენტის გოჩა ძასოხოვის და პირადად თავისი სახელით გადასცა ფულადი დახმარება. შეკრებილებმა დაადასტურეს, რომ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთხმად დაუჭერენ მხარს მიხეილ სააკაშვილის კანდიდატურას.

მზია ჯუღელი ინტერნატელებთან

საპატიო პრეზიდენტმა პირობა შეასრულა

დილიდანვე დიდი გამოცოცხლება და ლოდინი იგრძნობოდა კოჯრის ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი როლანდ აბულაძე). აქ ელოდნენ ამავე სასწავლებლის ოლიმპიური კლუბის საპატიო პრეზიდენტს, ოლიმპიურ ჩემპიონს, ქალბატონ მედეა (მზია) ჯუღელს. ხსენებული კლუბი თვენახევრის წინათ შეიქმნა. მაშინ ქალბატონი მზია ბავშვებს დახმარებას დაჰპირდა. იგი ლონდონში დაუკავშირდა თავის ქალიშვილს ირინა არხანგელსკაიას და სიძეს თეიმურაზ მამაცაშვილს (ბოლო პერიოდამდე საქართველოს ელჩს დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში) და სთხოვა ბრიტანელთა ცნობილი საქველმოქმედო ინტერესთა გათვალისწინებით, გამოეძებნათ პიროვნება, რომელიც გაიღებდა შეწირულობას სკოლა-ინტერნატისათვის. ასეთი აღმოჩნდა რუსეთის გაგარინთა გვარის უძველესი წარმომადგენელი, პრინცესა ირინა გაგარინა. მის მიერ გამოგზავნილი თანხით 72 აღსაზრდელს შეუძინეს ზამთრის ფეხსაცმელი და ტანსაცმელი. ქალბატონმა მზიამ პირადად მიიღო მონაწილეობა მათ შეძენაში და მოზარდებისთვის გადაცემაში. სეოკ-ის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით კიწურაშვილმა ოლიმპიური ლიტერატურით დაასაჩუქრა სასწავლებლის ბიბლიოთეკა. სტუმრებმა ტკბილეულით ახალი წელი მიულოცეს ინტერნატის მოსწავლეებსა და პედაგოგებს, რომლებმაც ასევე ახალი წლის საუკეთესო სურვილებით მადლობა გადაუხადეს მათთან ხელდამშვენებით მისულ სტუმრებს.

„ლელო“ – „ბუმათე“

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

30 დეკემბერი – 1 იანვარი



30 დეკემბერი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ჩვენი ფეხბურთი (21.30), **ევრიკა.** „სპორტის სამყარო“ (18.45), **მე-9 არხი.** ევროპის სტადიონებზე (20.00), **იმედი.** გოლი სერია „ა“ (11.05), „გოლი“ (17.05), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. 1998-1999 სეზონი. მოსკოვის „სპარტაკი“ — „რეალი“ (13.15). „ყველა დროის მატჩები“: 1966 წ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ინგლისის ნაკრები — გერმანიის ნაკრები (15.00). ინგლისის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.15), ჩემპიონთა ლიგა. 1998-1999 წ. სეზონი. რუსეთის „სპარტაკი“ — იტალიის „ინტერი“ (18.25). „ცხრიანი“ (20.40). 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ბრაზილიის ნაკრები — იტალიის ნაკრები (21.15). ჩემპიონთა ლიგის 1998 წლის ფინალი. „რეალი“ — „იუვენტუსი“ (23.00). „ევროფანკლუბი“. ლივერპული (1.00). ნბა: ჩემპიონატის მატჩი (4.00), მიმოხილვა (6.30), ლეგენდები (7.00), „დიდი თამაშები“. 1970 წ. „ყველა ვარსკვლავთა“ მატჩი (8.00). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ს ჩემპიონატის მატჩი (11.45). სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი (14.00, 17.25). ყველაზე ღონიერი ადამიანი ფინეთში (18.30). საბილიარდო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი (19.00). წყალში ხტომა. რუსეთის თასი (21.00). „ბილიარდის მეფეები“ (23.00). ჰოკეი. ნხლ-ს ჩემპიონატის მატჩი (23.30). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.30, 14.00, 16.00, 17.30, 20.30, 22.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (16.00, 22.00). მძლეოსნობა. სპრინტერები (18.15). ველორბოლა. ტურ დე ფრანსი (19.15), ფიგურული ციგურაობა (23.00). კრივი. პროფესიონალები (1.00, სუმო (3.00).

31 დეკემბერი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. მე-9 არხი. ევროპის სტადიონებზე (13.15, 20.05), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. 1998-1999 წ. სეზონი. რუსეთის „სპარტაკი“ — იტალიის „ინტერი“ (13.15), „ყველა დროის მატჩები“. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი: ბრაზილია — იტალია (15.00). „ევროფანკლუბი“. ლივერპული (17.00), „ცხრიანი“ (17.30). ჩემპიონთა ლიგის ფინალი — 1998 წ. „რეალი“ — „იუვენტუსი“ (17.45). 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი. ჰოლანდიის ნაკრები — გერმანიის ნაკრები (20.20). ჩემპიონთა ლიგის ფინალი — 1999 წ. „ბავარია“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (22.20). კალათბურთი. ნბა: „ყველა ვარსკვლავთა“ მატჩი — 1972 (4.00), მიმოხილვა (6.00), ყოველდღიური (6.30), მატჩი: „ჰიუსტონ როკეტსი“ — „ფილადელფია“. პირდაპირი ტრანსლაცია (7.00). ***НТВ плюс спорт.*** „ბილიარდის მეფეები“ (12.45). მაგიდის ჩოგბურთი. „დიდი ფინალები“ ჩინეთში (15.00). ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის. რუსეთის ნაკრები — აშშ, პირდაპირი ტრანსლაცია (17.50). საბილიარდო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი პულში (20.20). სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა (22.55). ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (23.50, 1.05). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 15.00, 18.30, 20.30, 0.00) ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (13.00).

2004 წლის 1 იანვარი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. განვლილი წლის საუკეთესო სპორტსმენები (14.20), იმედი. „ესტაფეტა“ (19.20). ***НТВ плюс футбол.*** „მატჩები ყველა დროისთვის“. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. ჰოლანდიის ნაკრები — გერმანიის ნაკრები (15.00). 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი. არგენტინის ნაკრები — ჰოლანდიის ნაკრები (21.35). ჩემპიონთა ლიგა. 1999 წლის ფინალური მატჩი. „ბავარია“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ (17.30), ჩემპიონთა ლიგა. 2001-2002 წ. სეზონი. „რუსეთის „ლოკომოტივი“ — ესპანეთის „რეალი“ (19.30). ჩემპიონთა ლიგა. ფინალი-2000. „რეალი“ — „ვალენსია“ (0.05), კალათბურთი. ნბა: ყოველდღიური (4.00), მიმოხილვა (4.30), „დიდი მატჩები“. ყველა ვარსკვლავთა მატჩი. — 1975 წ. (5.00). ლეგენდები. დომენიკ უილკინსი (7.00). „დიდი მატჩები“. „ყველა ვარსკვლავთა“ მატჩი — 1976 (8.00). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის (13.30), როდეო (15.30), ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. სეზონის მიმოხილვა (18.00), საბილიარდო სპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი პულში. ფინალი (19.30). სპორტული ცეკვები. ნაწილი პირველი (20.55). კალათბურთი. ნბა-ს მიმოხილვა (22.25). ბრძოლა წესების გარეშე (23.30). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 15.30, 18.45, 21.30), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (13.45), ფეხბურთი. კლასიკა (16.45, 23.30). კრივი. პროფესიონალები (2.00).

2-4 იანვრის პროგრამა იხ. მე-6 გვ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ

ᲡᲤᲤ-Ს ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲩᲘᲕᲐᲫᲔ ᲒᲐᲣᲫᲦᲕᲔᲑᲐ

ეროვნულ ნაკრებს ფრანგს ჩააბარებენ

უჩვეულოდ ხანმოკლე გამოდგა პარასკევს გამართული სფფ-ს აღმასკომის სხდომა. თუმცა, მასზე, დღეს ქართულ ფეხბურთში შექმნილი ექსტრემალური ვითარებიდან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული. სფფ-ს აღმასკომის დადგენილებით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას არყოფნის პერიოდში სფფ-ს საერთო ხელმძღვანელობა დაევალა ვიცე-პრეზიდენტს ალექსანდრე ჩივაძეს. აღმასკომის სხდომას 21 წევრიდან 15 ესწრებოდა. თავმჯდომარეობდა აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მურად ანჯაფარიძე. საგანგებო მდგომარეობისას ფედერაციის გაძღოლა ჩივაძეს მეორედ მოუწია (ადრე, 1998 წელს, ასეთი ვითარება ფედერაციის პირველი პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა და მაშინაც, სფფ-ს, დროებით, ალექსანდრე ჩივაძე თავკაცობდა). მერაბ ჟორდანიას დაკავების ფაქტის გამო აღმასკომმა შეშფოთება და სინანული გამოხატა. დადგენილებაში კი აღინიშნა — ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე, ეთხოვოს ამ საქმის ძიება-განხილვაში მონაწილე ყველა თანამდებობის პირს, გამოიჩინოს მაქსიმალური ობიექტურობა და პროფესიონალიზმი სიმართლის დადგენის პროცესში. აღმასკომზე განიხილეს და ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის კალენდარიც დაამტკიცეს.

ნახევარსაათიანი სხდომის შემდეგ პრეს-კონფერენცია გაიმართა, რომელზეც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გამომზეურდა. თითქმის, გადაწყვეტილია, ეროვნულ ნაკრებს ფრანგი ანრი მიშელი ჩაიბარებს. ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე უცხოელი სპეციალისტის დანიშვნა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ლერი სულაბერიძემ გააჟღერა.

ანრი მიშელი მწვრთნელობის ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია და არა ერთადერთი. სფფ-ს მესვეურნი ფრანგ მწვრთნელთან კარგა ხანია მოლაპარაკებებს ეწევიან და თუ ქვეყანაში სტაბილური და მშვიდობიანი სიტუაცია იქნება, ანრი მიშელი საქართველოში ჩამოვა.



„მოლაპარაკების ჩაშლის მცირე შანსია, ჩათვალეთ, მიშელი 90 პროცენტი ჩვენია. სათადარიგო ვარიანტზე არც ვფიქრობთ. მიშელს საქართველოში 1-3 იანვარს ველოდებით. ჩვენი აზრები ბევრ რამეში ერთმანეთს ემთხვევა. მასთან ფინანსური საკითხებია დასაზუსტებელი. 15 იანვრამდე, ალბათ, ყველაფერზე შევთანხმდებით. კვიპროსის ტურნირისათვის და 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ნაკრებს უცხოელი მწვრთნელი მოამზადებს. ანრი მიშელს მუშაობის ყველა პირობა ექნება."

„აღსანიშნავია, რომ ყველა გადაწყვეტილებას მწვრთნელის შესახებ და სფფ-ს მუშაობის თაობაზე სფფ-ს პრეზიდენტთან მერაბ ჟორდანიასთან კონსულტაციებისა და შეთანხმების შემდეგ ვიღებთ. იგი ყველაფრის საქმის კურსშია. გაისად დაგეგმილ ყველა პროექტზე მუშაობა გაგრძელდება. ეს ეხება ფიფას პროგრამა „გოლს" და უეფას პროგრამა „ჰეთ-თრიქს".

სფფ-ს აღმასკომმა, როგორც ქვეყნის ნაკრები გუნდების კურატორს, უშუალოდ, ალექსანდრე ჩივაძეს დაავალა 2004 წლის 1 თებერვლამდე აღმასკომს დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ეროვნული, ახალგაზრდული და ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელები, უზრუნველყოს ეროვნული ნაკრების სათანადო მომზადება და მონაწილეობა 15-22 თებერვლის კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში. სფფ-ს გენერალურ მდივანს ვალერი ჩოლარიას კი დაევალა უზრუნველყოს სფფ-ს აპარატის შეუფერხებელი მუშაობა. მერაბ ჟორდანიას საქმის ძიების მსვლელობის შესახებ კი მუდმივად მიაწოდოს ინფორმაცია ფიფას, უეფას და სფფ-ს აღმასკომს. პირად კონტროლზე აიყვანოს პროგრამების „გოლისა" და „ჰეთ თრიქის" შეთანხმება და დამტკიცება ფიფასა და უეფაში.

მივუბრუნდეთ ეროვნულ ნაკრებს და გაისად მისი სავარაუდო თავკაცის, 56 წლის ფრანგი ანრი მიშელის საფეხბურთო და სამწვრთნელო კარიერას გავეცნოთ. 1964-66 წლებში იგი თამაშობდა „პროვანსში". 1966-82 წლებში „ნანტში". საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 58 მატჩი; 1982-84 წლებში საფრანგეთის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელია, 1984-88 წლებში საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებს წვრთნის და მექსიკის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გუნდი მისი ხელმძღვანელობით მესამე პრიზიორი ხდება (ამარცხებს ბელგიის ნაკრებს 4-2). 1989-90 წლებში საფრანგეთის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელია. 1990-92 წლებში პსჟ-ს ავარჯიშებს. 1994 წელს კამერუნის ნაკრები გაჰყავს აშშ-ს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. 1995 წელს საუდის არაბეთის გუნდის „ალნასრის" თავკაცია. 1998 წელს მაროკოს ნაკრები გაიყვანა საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. წვრთნიდა ტუნისის ეროვნულ გუნდს. ამჟამად, მაროკოს „რაჯა კასაბლანკას" მწვრთნელია, რომელსაც აფრიკის თასი მოაგებინა.

როგორც ჩანს, საქართველოს ეროვნული ნაკრების მომავალ თავკაცს, არც ნაკრები გუნდების, არც კლუბების წვრთნის გამოცდილება და არც ტიტულები აკლია.

ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲨᲘ"

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ქუთაისის „ტორპედოს" ნახევარმცველი რომან ახალკაცი მომავალი სეზონიდან ახალ კლუბში ითამაშებს. იგი იური სიომინის მოსკოვის „ლოკომოტივში" გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას და მალხაზ ასათიანთან ერთად, მეორე ქართველი იქნება, რომელიც სლავ რკინიგზელთა ღირსებას დაიცავს.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" ᲮᲣᲠᲪᲘᲚᲐᲕᲐᲡ ᲘᲬᲕᲔᲕᲡ

ეროვნული პირველობის პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, თბილისის „სპარტაკიდან" მთავარი მწვრთნელი ვასილ ჰეიშვილი წავიდა. გუნდი უმწვრთნელოდ დიდხანს ვერ გაჩერდებოდა და კლუბის მესვეურებმაც ახალი თავკაცის ძებნა დაიწყეს. ჩემპიონატის მეორე ეტაპზე „სპარტაკის" ხელმძღვანელებს სურთ გუნდი ისეთ გამოცდილ სპეციალისტს ჩააბარონ, როგორიც მურთაზ ხურცილავაა. მასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და სავარაუდოდ დეკემბრის ბოლოსთვის ყველაფერი გაირკვევა.

ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ, ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲔᲠᲔᲑᲘ

სატრანსფერო „ფანჯრის" გახსნასთან ერთად, რამდენიმე ქართველი ფეხბურთელი ახალ კლუბს მიაშურებს. ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე შეიძლება შოტლანდიური „დანდიდან" რუსულ, სანქტპეტერბურგის „ზენიტში" გადავიდეს. თუმცა, ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდია. ნემსაძით რამდენიმე რუსული კლუბია დაინტერესებული, საახალწლო დღეების შემდეგ იგი რუსეთში ჩავა და ალბათ, გაირკვევა ის გუნდიც, რომელშიც გიორგი ნემსაძე კარიერას გააგრძელებს. საუბარია „როსტოვზე" და „კრილია სოვეტოვზეც".

იანვრის დასაწყისში გერმანიაში წავა თბილისის „ლოკომოტივის" ნახევარმცველი დავით სირაძე. მას ბერლინის მეორე ბუნდესლიგის „უნიონში" იწვევენ სეზონის ბოლომდე.

ეროვნული ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი, ამჟამად დონეცკის „მეტალურგში" მოთამაშე გიორგი დემეტრაძე განახლებულ საფეხბურთო სეზონს შეიძლება ჩემპიონთა ლიგაში მოასპარეზე ბელგიის ჩემპიონ „ბრიუგეს" რიგებში შეხვდეს. „რამდენიმე დღეში ყველაფერი გაირკვევა და ბელგიაშიც წავალ" - განაცხადა ფეხბურთელმა.

„ᲛᲐᲘᲡᲘ" - ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ

სპორტის სასახლეში დასრულდა „ბენდელას თასის" გათამაშება. საფინალო შეხვედრები ჯერ ჭაბუკებმა დაიწყეს. III ადგილისათვის „სპარტაკი" და „იმედი" გაეჯიბრნენ ერთმანეთს. საბოლოოდ „სპარტაკმა" იმარჯვა — 3-1. დიდებში ამავე ადგილისათვის ბრძოლაში „ჯვს"-ი „თსუ"-ს დაუპირისპირდა. მატჩი უხვგოლიანი გამოდგა. „ნაციონალებთან" წინა დღით დამარცხებულმა „თსუ"-მ რევანში „ჯვს"-თან აიღო და მესამე ადგილი დაიკავა.

ჭაბუკთა ფინალში ერთმანეთს „ირაო" და „დინამო" შეხვდა. მატჩი „დინამომ" მოიგო 2-0.

გულშემატკივრები დიდი ინტერესით მოელოდნენ ძირითად ფინალს. ეს შეხვედრა საინტერესო იმითაც იყო, რომ „ნაციონალებში" თამაშობდა ვიტალი დარასელია, ვალერი აბრამიძე და ბევრი სხვა ნაცნობი ფეხბურთელი. ისიც აღსანიშნავია, რომ მათი მწვრთნელი თბილისის „დინამოს" გოლკიპერი დათო გვარამაძე იყო.

გასული წლის ფინალისტებს „მაისის" ფეხბურთელებს, ცხადია, დიდი სურვილი ჰქონდათ მეორედ დაუფლებოდნენ მთავარ პრიზს. მატჩს ინტერესს მატებდა ისიც, რომ ფინალისტების შეხვედრას უნდა გამოევლინა ტურნირის ბომბარდირი. ლაშა ჯაკობიას („მაისი") და ვიტალი დარასელიას („ნაციონალი") 6-6 ბურთი ჰქონდათ გატანილი.

ფინალში პირველი გოლი სწორედ დარასელიამ გაიტანა. თუმცა ლადო ბურდულმა [illegible]ში მალევე გაათანაბრა. თამაშის დამთავრებამდე ალეკო გოგობერიშვილმა დუბლიც შეასრულა და საბოლოოდ შეხვედრაც 3-1 დასრულდა „მაისის" სასარგებლოდ.

ტურნირის შემდეგ დასახელდნენ: საუკეთესო მეკარედ — ზვიად კუპატაძე, მცველად — დავით ბაქრაძე, ბომბარდირად — ვიტალი დარასელია (სამივე — „ნაციონალი"); საუკეთესო ფეხბურთელად — გიორგი დეკანოსიძე, თავდამსხმელად — ლაშა ჯაკობია, ფინალის გამორჩეულ ფეხბურთელად ლადო ბურდული (სამივე — „მაისი"), ტურნირის აღმოჩენად — ჯაბა კანკავა („დინამო" თბ), საუკეთესო გოლის ავტორად — ბორის გონჩაროვი („ოფის ლაინი"); ტურნირის საუკეთესო მწვრთნელად — ხვიჩა ქასრაშვილი („დინამო" თბ), სპეციალური პრიზი გადაეცა გადამწყვეტი გოლის გამტანს ალეკო გოგობერიშვილს („მაისი").

ფინალისტებს მედლები რეზო არველაძემ და დავით ლორთქიფანიძემ დაურიგეს. გამარჯვებულ „„მაისის" ფეხბურთელებს „ბენდელას თასი" შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი ბარამიძემ და ზაზა ბენდელიანის მამამ გადასცეს. დანარჩენები ტურნირის ორგანიზატორებმა და მსაჯთა კოლეგიამ დააჯილდოვა. სპეციალური პრიზები გადაეცათ მთავარ მსაჯს ანატოლი მილჩენკოსა და ფინალის არბიტრს ავთანდილ შალამბერიძეს,

ლ. ჯანკოტაძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲛᲓᲔᲒ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ

[illegible] —

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲛᲘᲠᲔᲯᲘᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

„ასას" სტადიონზე დასრულდა მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟის, აფხაზეთში გმირულად დაღუპული ირაკლი ამირეჯიბის პირველი მემორიალური ტურნირი მინიფეხბურთში 1995 წელს დაბადებულ ბიჭუნებს შორის 15 გუნდის მონაწილეობით. პირველი ადგილი თბილისის „ურიონმა" მოიპოვა (მწვრთნელები მერაბ მელაშვილი, თემურ თვალჭრელიძე). მეორე ადგილზე „ოლიმპი" გავიდა, მესამეზე — „ურიონი-2". ყველაზე ტექნიკური მოთამაშის პრიზი გიორგი გოროზიას („ურიონი") გადაეცა, საუკეთესო თავდამსხმელად დავით დარცმელია („ურიონი") სცნეს, ნახევარმცველად — ბექა მელიქიძე („ოლიმპი"), მცველად — გიორგი აბურჯანია („ოლიმპი"), მეკარედ — ბექა ჩოგოშვილი („ურიონი").

მარცხნიდან: I რიგში — დავით მაჭარაშვილი, გიორგი თვალიაშვილი, ბექა ჩოკოშვილი, დათო გუჯაბიძე, რატი მუხიგულაშვილი, ლაშა გამილაძე; **II რიგში** — მერაბ მელაშვილი (მწვრთნელი), ნიკა ასაშვილი, გურამ ტაბუცაძე, დავით დარცმელია, გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი გოროზია, რატი ჯოხაძე, თემურ თვალჭრელიძე (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი).

საქართველოში რასიზმი არ ყოფილა და არც არასოდეს გამოვლინდება!

მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები

პაოლო როსი

1979-80 წლების სეზონს როსი ჩინებულად ხვდება."პერუჯა",ძირითადად მისი დახმარებით ამარცხებს მეტოქეებს და არაერთ გრანდს აწბილებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ტურინის "იუვენტუსთან" გამარჯვებაა, რომელსაც უმბრიელებმა სწორედ პაოლოს ერთადერთი გოლით მიაღწიეს. პაბლიტომ კიდევ უფრო მყარად მოიკიდა ფეხი ეროვნულ ნაკრებში და ფაქტობრივად წამყვან მოთამაშედ იქცა "სკუადრა აძურასთვის",მაგრამ უეცრად ყველაფერი თავდაყირა დადგა.

1979 წლის ბოლოს იტალიაში გახმაურებულმა საფეხბურთო კორუფციის სკანდალმა იფეთქა. 30 დეკემბერს "აველინოსა" და "პერუჯას" თამაშის შემდეგ როსი სხვა მოთამაშეებთან ერთად მატჩების ჩაწყობაში ამხილეს. კერძოდ, ამ შემთხვევაში ბრალდება შემდეგნაირი იყო: კლუბებმა მოილაპარაკეს,რომ ფრეს ითამაშებდნენ,ხოლო როსისთვის ორი ბურთი უნდა გაეტანინებინათ.ზემოთ ხსენებული შეხვედრის საბოლოო ანგარიში 2:2-ია, ხოლო უმბრიელთა მხრიდან გოლები როსიმ გაიტანა.

სკანდალმა კულმინაციას 1980 წლის 23 მარტს მიაღწია. სერია „ა"-ს მორიგი ტურის შემდეგ რამდენიმე ქალაქში აპატიმრებენ სხვადასხვა კლუბების ხელმძღვანელებსა და ფეხბურთელებს, რომელთა შორის პაოლოცაა. ამ უკანასკნელს ლამის დასაჭერად ჰქონდა საქმე, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ სამწლიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, რომელიც შემდგომში ერთი წლით შემცირდა. ამ ფაქტზე უკმაყოფილებასა და სინანულს, როგორც მაშინ, ასევე შემდეგ, არაერთი გულშემატკივარი თუ სპეციალისტი გამოხატავს. მათი აზრით "პაბლიტოს შეცდომა რომ არ დაეშვა, გაცილებით მეტ სარგებლობას მოუტანდა იტალიურ ფეხბურთს, ვიდრე სასჯელის მოხდის მერე.

ძნელია ამ მოსაზრებას არ დაეთანხმო, რადგანაც იმ პერიოდში როსი ჩინებულ ფორმაში იმყოფებოდა, თანაც "იუვენტუსი" მის უკან დასაბრუნებლად ემზადებოდა, მაგრამ პაოლოს დასჯამ თავად მას კარიერა, ხოლო ტურინელებს გეგმები აურია. მოგვიანებით "ბებერმა ქალბატონმა" მაინც გადაწყვიტა მისი შეძენა და 1 მილიონი დოლარის სანაცვლოდ "ვიჩენცასგან" გამოისყიდა იგი.

დისკვალიფიკაცია როსის 1982 წლის 30 აპრილს დაუმთავრდა. აქედან გამომდინარე, ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მას მუნდიალზე მოხვედრის შანსი ჰქონდა. პაოლოს მიმართ სიმპატიით განწყობილი ბეარზოტი კი სხვაგვარად ფიქრობდა და მას ისეთი სპეციალისტებიც ემხრობოდნენ როგორიც იყო ელენიო ერერა და როგორიც არის ჯოვანი ტრაპატონი, თუმცა კრიტიკოსებიც ძალიან მრავლად იყვნენ.

თავად პაოლოს გასაგები მიზეზების არც ამჯერად სჯეროდა, რომ მუნდიალზე მოხვდებოდა და როგორც მან შემდგომში აღნიშნა, დარწმუნებული იყო, რომ მის ნაცვლად მსოფლიო ჩემპიონატზე იმ დროს "რომას" რიგებში მშვენიერად მოასპარეზე რობერტო პრუცოს წაიყვანდნენ. თუმცა იგი ასეთ კომენტარსაც გააკეთებს: „ბეარზოტის ნდობის გარეშე ვერაფერს მივაღწევდი, იგი მძიმე წუთებში ყოველთვის ჩემს გვერდით იდგა. სანამ სასჯელს ვიხდიდი ხშირად მნახულობდა და მეუბნებოდავარჯიში გააგრძელე, თორემ თავს საბოლოოდ დაიღუპავო. ასე რომ, ვიცოდი დისკვალიფიკაციის დამთავრების შემდეგ იგი კიდევ ერთ შანსს მომცემდა და ორი წლის მანძილზე სწორედ ამ იმედით ვცხოვრობდი".

„ასეა თუ ისე, პაოლო ბრწყინვალე ფეხბურთელია და ვფიქრობ, „რომ ეროვნულ ნაკრებს ძალიან სჭირდება. იგი ძალიან სწრაფი მოთამაშეა და გოლის შესაშური ალღოთია დაჯილდოებული, როდესაც მას მოწინააღმდეგის კარის სიახლოვეს ვხედავ, მშვიდად ვარ, რადგანაც ვიცი,რომ იგი თავის შანსს გამოიყენებს''-თქვა გამოცდილმა ბეარზოტიმ და როსი ესპანეთში წაიყვანა.

პირველ ჯგუფურ ეტაპზე იტალიამ ორი გოლი გაიტანა და სამივე მატჩი-პოლონეთთან, პერუსთან და კამერუნთან ფრედ ითამაშა,ხოლო როსიმ თავი ვერაფრით გამოიჩინა, რის გამოც ბეარზოტი კიდევ ერთხელ გაატარეს კრიტიკის ქარცეცხლში. მიუხედავად ამისა "სკუადრა აძურას" გაუმართლა და ბურთების უკეთესი სხვაობის ხარჯზე შემდეგ ეტაპზე გავიდა.

როდესაც კენჭისყრამ აპენინელებს შემდეგ მეტოქეებად მუნდიალის ფავორიტები არგენტინა და ბრაზილია არგუნა,ისინი მათ შორის საკუთარი ქომაგების დიდმა ნაწილმაც განწირულებად ჩათვალა. თუმცა გამოცდილი ბეარზოტი ასე არ ფიქრობდა და უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა.

ეს მსოფლიო ჩემპიონის სტატუსით მოთამაშე არგენტინასთან მატჩშიც დადასტურდა,რომელიც იტალიამ 2:1 მოიგო. შემდეგ იყო დიდი სამხრეთამერიკული დერბი,რომელშიც ბრაზილიამ ორბურთიანი უპირატესობით 3:1 იმარჯვა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ფინალში გასასვლელად "სკუადრა აძურას" აუცილებლად უნდა დაემარცხებინა ტელე სანტანას ბრწყინვალე კოლექტივი, რასაც ბევრი ძნელად თუ წარმოიდგენდა.

იმ მომენტში პაოლოს არც ერთი გოლი არ ჰქონდა გატანილი და არც განსაკუთრებული თამაშით გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, ბეარზოტიმ იგი კვლავ ძირითად შემადგენლობაში დააყენა და "პაბლიტომაც" ბოლოს და ბოლოს, იფეთქა. ბრაზილიასთან,შემდეგ პოლონეთთან და ფინალში გფრ-სთან პაოლომ დაკარგული დრო ერთბაშად აინაზღაურა. მან იტალია მსოფლიო ჩემპიონად აქცია, ხოლო თავად მუნდიალის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. ეს როსის და რა თქმა უნდა, გამოცდილი ენცო ბეარზოტის გამარჯვება იყო.

ბრაზილიასთან მატჩში როსიმ მე-5 წუთზე გახსნა ანგარიში, მაგრამ 7 წუთში სოკრატესმა წონასწორობა აღადგინა. 25-ე წუთზე პაოლომ კვლავ წინ გაიყვანა "სკუადრა აძურა", 68-ე წუთზე კი ფალკაომ ისევ გაათანაბრა. ბოლო სიტყვა მაინც როსიმ თქვა - 74-ე წუთზე მან მცველების შეცდომით ისარგებლა და საბოლოოდ დასცა ტელე სანტანას გუნდი.

ნახევარფინალში იტალიას საკმაოდ ძლიერი პოლონეთის ნაკრები შეხვდა, რომელსაც აპენინელებმა "პაბლიტოს" წყალობით უპრობლემოდ მოუგეს, ანგარიშით 2:0. პაოლომ 22-ე და 73-ე წუთებზე გაიტანა.

ფინალური მატჩის პირველ ტაიმში იტალია უპირატესობას ფლობდა, მაგრამ 56 წუთამდე მეტოქის გატეხვა ვერ მოახერხა.ეს უმნიშვნელოვანესი გოლი კვლავ როსის ანგარიშზე იყო. ამის შემდეგ აპენინელებმა კიდევ ორჯერ აიღეს მოწინააღმდეგის კარი. გფრ-ის ნაკრებმა კი მხოლოდ ერთხელ უპასუხა "სკუადრა აძურას".

ის, რაც როსიმ გააკეთა, მართლაც გაოცებას იწვევდა და ახლაც იწვევს. ფეხბურთელმა, რომელიც ორი წლის უთამაშებელი იყო და ფსიქოლოგიურადაც უჭირდა,შეძლო მუნდიალის გმირად ქცეულიყო. მან შორეული, 1938 წლის შემდეგ იტალია ისევ მსოფლიოს ჩემპიონად აქცია, ხოლო თავად ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა. თანაც "პაბლიტომ" ეს ყველაფერი მხოლოდ სამ მატჩში მოახერხა.

1982 წლის ბოლოს ცნობილმა ჟურნალმა "უორლდ სოკერმა" პირველად ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც საუკეთესოდ როსი დასახელდა. გარდა ამისა პაოლომ გაცილებით უფრო დიდი აღიარება მოიპოვა - "ფრანს ფუტბოლმა" მას "ოქროს ბურთი" გადასცა.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პაოლომ თავისი პირველი საკლუბო ტიტული-იტალიის თასი, მხოლოდ 1983 წელს მოიპოვა. 1984 წელი გაცილებით შედეგიანი გამოდგა - იგი "იუვენტუსთან" ერთად გახდა სკუდეტოს, თასების თასისა და ევროპის სუპერთასის მფლობელი.

მიუხედავად ამ ტიტულებისა, ეს ის როსი აღარ იყო, რომელსაც დისკვალიფიკაციამდე "პაბლიტო" შეარქვეს და რომელმაც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო სამი მატჩი ჩაატარა. მართალია იგი კვლავ მაღალ დონეზე თამაშობდა, მაგრამ ამის მიზეზი იმ სკანდალისა და ორწლიანი იძულებითი შესვენების გარდა, გაუთავებელი მუხლის ტრავმა იყო, რომელიც პაოლოს მოსვენების საშუალებას არ აძლევდა.

1985 წელს მან თავისი ბოლო ტიტული - ჩემპიონთა თასი მოიპოვა, რის შემდეგაც "ბებერმა ქალბატონმა" იგი "მილანს" მიჰყიდა, "წითელ-შავების" რიგებში პაოლო, საერთოდ, დაიკარგა.მთელი სეზონის მანძილზე მან მხოლოდ ორი გოლი გაიტანა. ამის შემდეგ იგი "ვერონაში" გადაბარგდა და კარიერაც იქ, 1987 წელს დაასრულა (ბოლო გოლი მან "ნაპოლის" გაუტანა).

ნაკრებიდან იგი ერთი წლით ადრე, 1986 წლის მუნდიალის შემდეგ წავიდა. მართალია ბეარზოტიმ პაოლო მაშინაც წაიყვანა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ ეს უფრო მისდამი თბილი დამოკიდებულების გამო გააკეთა, ვიდრე სხვა მიზეზით. პაოლოს არც ერთი თამაში არ ჩაუტარებია. იტალია კი მერვედფინალში გამოეთიშა ასპარეზობას. "სკუადრა აძურა" "პაბლიტომ" 48 მატჩში გატანილი 20 გოლით დატოვა.

შემდგომში როსი იტყვის: „კარიერის დასრულება იმიტომ გადავწყვიტე, რომ მსურველს ველარ ვხედავდი. მე კი არავისთვის არაფრის თხოვნას არ ვაპირებდი. ბუნებრივია დიდი როლი ტრავმებმაც შეასრულა, რის გამოც ბევრს ვწვალობდი. ძალიან გამიხარდა, როდესაც ტელევიზიაში მიმიწვიეს, უმუშევრობას მაინც დავაღწიე თავი".

მიუხედავად ყველაფრისა, პაოლო როსიმ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელის სახელი მოიხვეჭა და კარიერა თავაწეულმა, რაც მთავარია მსოფლიო, განსაკუთრებით იტალიური ფეხბურთისადმი ვალმოხდილმა დაასრულა და როგორც უკვე იცით, ტელეკომენტატორად დაიწყო მუშაობა. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია კიდევ ერთხელ გავიფიქროთ - რომ არა ის საბედისწერო შეცდომა, იქნებ როსის...

გიორგი კაკაბაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 100

უშანგი სალდაძე - 85



უშანგი სალდაძე ქუთაისელ ფეხბურთელთა იმ თაობას მიეკუთვნება, რომელთაც პატივი ხვდათ წილად ქართული ფეხბურთის ფლაგმან თბილისის „დინამოს" პირველ თაობას ამოდგომოდა გვერდით. იგი თანაგუნდელებთან მიხო ჭელიძესთან და ნოე ხერხაძესთან ერთად ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში გამოჩნდა თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში. თუ მიხო ჭელიძე — იმ დროისთვის ცნობილი გამოთქმით — „სასტავში მოხვდა", ნოე ხერხაძეს ეს ბედნიერება არ ხვდა წილად, რადგან იგი თავდასხმაში თამაშობდა და იმ დროისთვის თბილისის „დინამო", კარგად მოგეხსენებათ, თავდამსხმელთა დეფიციტს არ განიცდიდა — ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ვიქტორ პანიუკოვი, ასლან ხარბედია, მიხეილ ბერძენიშვილი და სხვები. უშანგი სალდაძე თანაგუნდელ ნოე ხერხაძესთან ერთად ომამდელ პერიოდში თბილისის „დინამოს" სათადარიგო შემადგენლობის ღირსებას იცავდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გუნდს ომისშემდგომ პერიოდში სათავეში ანდრო ჟორდანია ჩაუდგა, 1945-1946 წლის საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატში 33 მატჩი ჩაატარა გუნდის ძირითად შემადგენლობაში ისეთი გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით, როგორიც ბორის ფროლოვი, არჩილ კიკნაძე, გრიგოლ გაგუა იყვნენ. იმ დროისთვის თბილისის „დინამო" საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ, ასე ვთქვათ, ანგარიშს აბარებდა სავარდო და სამაისო ქალაქის მაყურებელსაც, ამხანაგურ თამაშს აწყობდა ქუთაისელ თანაკლუბელებთან. ერთ-ერთი ასეთი მატჩი, რომელიც ომამდელ პერიოდში ქუთაისში გამართულა, თვითმხილველის თქმით, ქუთაისელ ფეხბურთელებს მოუგიათ 3-2. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელ ფეხბურთელთა ზემოაღნიშნული სამეული თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა. ასევე მოგვიანებით კიდევ სამი ქუთაისელი ფეხბურთელი გადაბარგდა თბილისის „დინამოში" — შოთა [illegible], მიხეილ გერაძე და იბ[illegible] ლაძე. [illegible] მოიკიდა ფეხი თბილისში და ისევ ქუთაისს დაუბრუნდა, იბო სარჯველაძემ შეძლო უშანგი სალდაძის ადგილის დაკავება და 1946-1955 წლების განმავლობაში 165 მატჩი ჩაატარა რესპუბლიკის პირველ გუნდში. ამას გარდა მან თავი დაამახსოვრა მაყურებელს, როგორც მობილურმა და ელასტიურმა ფეხბურთელმა, ასევე ასზე მეტი შეხვედრა ჩაატარა თბილისის „დინამოში" მიხო ჭელიძემ, არც ერთ მათგანს, სამწუხაროდ, არ ხვდა ბედნიერება დაელაშქრა მეტოქის კარი. მართალია, მიხო ჭელიძემ შეძლო ბურთის გატანა თავური დარტყმით, მაგრამ, სამწუხაროდ, თავის კარში. ეს იყო 1948 წელს თბილისში მოსკოვის „დინამოსთან" გამართულ შეხვედრაში, რომელიც სტუმრებმა მოიგეს 4-2. უშანგი სალდაძე თბილისის „დინამოში" მოთამაშე თანაგუნდელებისგან განსხვავებით თბილისის „დინამოდან" წასვლის შემდეგ როგორც ფეხბურთელი, არ გამოჩენილა ქუთაისის „დინამოს" შემადგენლობაში. მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი და წლების განმავლობაში განაგებდა ქუთაისის რესპუბლიკურ საავადმყოფოს ტრავმატოლოგიურ განყოფილებას, ერთდროულად სხვადასხვა დროს ავარჯიშებდა „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდს, ხოლო მას შემდეგ, რაც ქუთაისის „ტორპედო" მტკიცედ დადგა ფეხზე, მისი უფროსი მწვრთნელი იყო და 1961 წელს კიშინიოვის გადასასვლელ ტურნირში სწორედ მას მიუძღვის ლომის წილი გუნდის „ა" კლასში გადასვლაში. იგი სპორტის იმდროინდელ ბევრ ხელმძღვანელს არ ეხატებოდა გულზე და კიშინიოვშივე გადააყენეს უფროსი მწვრთნელის პოსტიდან, თუმცა, მას კიშინიოვი არ დაუტოვებია — ტრიბუნებზე გადაინაცვლა და იქიდან ხელმძღვანელობდა „ტორპედოს" თამაშს.

კიშინიოვის სამთა ტურნირის დასაწყისი კარგს არაფერს უქადდა ქუთაისის „ტორპედოს" [illegible] „ტორპედო" [illegible] 0-2. მომდევნო მატჩისთვის უშანგი სალდაძემ საქართველოს ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით გასახდელშივე დამოძღვრა ახალგაზრდა ფეხბურთელები — „ჩვენ არაფერი დაგვრჩენოდა მოგების გარდა"... იგონებდა ყველა მათგანი მოგვიანებით....

უშანგი სალდაძეს ბედნიერება ხვდა წილად 9 სეზონის განმავლობაში ეხილა ქუთაისის „ტორპედო" „ა" კლასში. 1971 წლის სეზონში იგი უფროსი მწვრთნელიც იყო, მაგრამ ქუთაისის „ტორპედოდან" ფეხბურთელთა გაუთავებელმა მიგრაციამ თბილისის „დინამოში", ბოლოს და ბოლოს, გუნდის დაბალ ლიგაში დაქვეითებამ, საბოლოოდ გულგატეხილი დატოვა უშანგი სალდაძეც და ისიც სამუდამოდ ჩამოცილდა მწვრთნელის საქმიანობას.

დემურ ტორაძე.

თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!



1



2

1. რომელი ქვეყნიდან იყო მსოფლიოს 1962 წლის ჩემპიონატზე ფეხბურთში ფინალური მატჩის (ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია) მთავარი არბიტრი და ვინაა იგი?

2. სურათზეა ცნობილი გერმანელი მწვრთნელი და წარსულში ფეხბურთელი. 2001 წლიდან წვრთნიდა კამერუნის ნაკრებს. ამჟამად მიწვეულია ვლადიკავკაზის „ალანიას" მთავარ მწვრთნელად. ვინაა იგი?

„ლელოს" 99-ე ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები:

1. ფოტოზე აღბეჭდილია სახელგანთქმული ფეხბურთელი, ინგლისელი სტენლი მეტიუზი.
2. ფოტოზე აღბეჭდილნი არიან იტალიელი ფეხბურთელი ჯაჩინტო ფაკეტი და მწვრთნელი ელენიო ერერა.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

როი კინი ალექს ფერგიუსონის შეცვლას აპირებს

საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი როი კინი კლუბში მუშაობის გაგრძელებას გეგმავს. მისი ოცნებაა მანჩესტერელთა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავება.

ჟურნალისტებთან საუბარში კინმა განაცხადა, რომ თვით ალექს ფერგიუსონის შეცვლას აპირებს. ირლანდიის ნაკრების ყოფილი მოთამაშე უკვე სწავლობს მწვრთნელის პროფესიას. „ბედნიერება მაქვს, ვიმუშაო ისეთ დიდ მწვრთნელებთან, როგორებიც არიან ალექს ფერგიუსონი და ბრაიან კლოსი. დარწმუნებული ვარ, მათგან ბევრს ვისწავლი," — ამბობს კინი.

როი კინს, რომელიც ფეხბურთის გულშემატკივართა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს, განზრახული აქვს, „მანჩესტერ იუნაიტდი" მსოფლიოში უძლიერესი კლუბი გახადოს.

დღესდღეობით, საფეხბურთო მოედანზე კინი „მანჩესტერ იუნაიტედის" უდავო ლიდერია. „თამაშის მიმდინარეობის დროს ხშირად მითითებებს ვაძლევ მოთამაშეებს. ისინი მატჩის მიმდინარეობისას ხშირად მთხოვენ რჩევებს. ვფიქრობ, ესეც არის გზა, რომელიც თანდათან მთავარი მწვრთნელის პოსტამდე მიმიყვანს," — ამბობს 32 წლის კინი, რომელიც არ მალავს, დღესაც რომ შესთავაზონ მთავარი მწვრთნელის პოსტი, უარს ნამდვილად არ იტყვის.

აქვე შეგახსენებთ, რომ როი კინს 412 მატჩი აქვს ჩატარებული „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში და 48-ჯერ დალაშქრა მეტოქეთა კარი.

აიგნერი: „ფული და ჩხუბი მოთამაშეებისათვის ემუქრება ევროპულ ფეხბურთს"

უეფას აწ უკვე ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა გერჰარდ აიგნერმა განაცხადა, რომ პერსპექტიული მოთამაშეების შესყიდვისათვის გამართული ჩხუბი მსოფლიოს წამყვან გუნდებს შორის, აგრეთვე, დიდი ფული, უარყოფით გავლენას მოახდენს ევროპული ფეხბურთის მომავალზე.

„დღეს საკმაოდ რთული სიტუაციაა. არა მგონია, მხოლოდ დიდმა ფულმა რაიმე სიკეთე მოუტანოს ევროპულ ფეხბურთს. თუკი ასე გაგრძელდება, სპორტის ეს სახეობა მიმზიდველობას დაკარგავს. სპორტში, საერთოდ, კონკურენცია უნდა არსებობდეს, რომელიც ალამაზებს მთავარი ჯილდოსათვის ბრძოლას. თუკი ისე მოხდება, რომ კონკურენცია გაქრება, ხალხს ინტერესი დაეკარგება და სტადიონზეც აღარავინ ივლის", – განაცხადა აიგნერმა.

მისი აზრით, „ბოსმანის საქმემ" უარყოფითი გაგრძელება ჰპოვა. „ახლა ბევრი გუნდის ხელმძღვანელობა შემოსავლის 80 პროცენტს მოთამაშეებს ახმარს. ეს არის ბრძოლა სიცოცხლისათვის, რომლის მოგებაც, მერწმუნეთ, შეუძლებელია".

აიგნერის აზრით, უნდა დაწესდეს კანონი, რომელიც განსაზღვრავს მოედანზე ლეგიონერების რიცხვს თითოეული გუნდის შემადგენლობაში. „მართალია, ეს ევროპული კანონებით აკრძალულია, მაგრამ ასეთ წესს თუ არ მივმართავთ, ფეხბურთი კიდევ უფრო იზარალებს" – ამბობს აიგნერი.

„მილანი" ფიგუს შეძენისათვის იბრძვის

იტალიური საფეხბურთო კლუბი „მილანი" ინგლისურ „მანჩესტერ იუნაიტედთან" და ლონდონურ „ჩელსისთან" ერთად ლუიშ ფიგუს შეძენისათვის იბრძვის. იტალიელები მზად არიან, გაიღონ ყველაფერი, ოღონდაც ფიგუ „სანსიროზე" იხილონ.

შეგახსენებთ, რომ ფიგუს მადრიდის „რეალთან" კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს დადებული, თუმცა „სამეფო კლუბი" რუუდ ვან ნისტელროის შეძენას აპირებს. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდა, ფიგუსთვის „რეალის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი, პრაქტიკულად, აღარ დარჩება. თვით ფიგუმ განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუკი კარიერას ინგლისის პრემიერლიგაში გააგრძელებს, შემდეგ კი აუცილებლად ითამაშებს ლისაბონის „სპორტინგში".

ვენგერი: ვილტორი არენდით არ გაცემულა

ჟურნალისტებთან საუბარში ლონდონის „არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა უარყო სილვენ ვილტორის არენდით გაცემის შესახებ ბოლო დროს საზღვარგარეთულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციები — ვენგერის თქმით, ვილტორი „არსენალის" შემადგენლობაში, მინიმუმ მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ ვილტორს „არსენალთან" კონტრაქტი უმთავრდება 2004 წლის ივნისში, თუმცა ლონდონური კლუბის ხელმძღვანელობა აპირებს, ამ ფეხბურთელთან კონტრაქტი რამდენიმე წლით გააგრძელოს.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ „არსენალის" კიდევ ერთმა მოთამაშემ — სოლ კემპბელმა გამოთქვა კონტრაქტის გაგრძელების სურვილი. ამ ფეხბურთელმა ჟურნალისტებთან ისიც კი განაცხადა, რომ კარიერას სწორედ ლონდონის „არსენალში" დაასრულებს.

სალასი ორი თვე არ ითამაშებს

ჩილეს ნაკრების ფორვარდი მარსელო სალასი მუხლის ტრავმის გამო ორი თვის განმავლობაში ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსის" ფეხბურთელი ამ სეზონში არენდით ჰყავს აყვანილი არგენტინულ „რივერ პლეიტს" 550 ათას დოლარად, თუმცა, სამხრეთამერიკული „ტურნე" სალასისათვის წარუმატებლად დაიწყო. „რივერ პლეიტის" შემადგენლობაში მან მხოლოდ 8 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

პოპესკუ „ვარსკვლავთა" მატჩის ჩატარებას ცდილობს

სახელგანთქმულმა რუმინელმა ფეხბურთელმა გეორგ პოპესკუმ არცთუ დიდი ხნის წინათ დაასრულა მოთამაშის კარიერა. ახლა იგი აპირებს გამოსათხოვარი მატჩის ორგანიზებას რუმინეთის ნაკრებისა და დანარჩენი მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავთა შორის. პოპესკუ მატჩის თარიღად მაისის მეორე ნახევარს ირჩევს, როცა ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატები დასრულდება. პოპესკუს სურს, მიიწვიოს ის ყველა ვარსკვლავი, რომელთანაც მოედანზე გამოდიოდა. რუმინელის მიერ მოწვეულთა სიაში არიან რომარიო, სტოიჩკოვი, ფიგუ, ჰაჯი და სხვები.

დადო პრშო – „წლის ფეხბურთელი" ხორვატიაში

ფრანგული საფეხბურთო კლუბ „მონაკოს" ხორვატი მოთამაშე დადო პრშო „წლის საუკეთესო ფეხბურთელად" სცნეს თავის სამშობლოში. მეორე ადგილი დაიკავა იტალიურ „ანკონაში" მოთამაშე მილან რაპაიჩმა, ხოლო მესამეზე გავიდა რობერ კოვაჩი („ბაიერნი").

მსაჯები შამპანურებით დააჯილდოვეს

იტალიის საფეხბურთო კლუბ „რომას" ხელმძღვანელობამ არცთუ სახარბიელო ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, გადაწყვიტა საახალწლო საჩუქარი მიუძღვნას მსაჯებს. სერია „ა"-ში მომსახურე ყოველ მსაჯს რომაელები გადასცემენ 6 ბოთლ შამპანურს.

რანიერის არ სჯერა, რომ „ჩელსიდან" გაუშვებენ

ბოლო დროს საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებში პერიოდულად ჩნდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ კლაუდიო რანიერიმ შესაძლოა დატოვოს ლონდონის „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტი. არადა, რომან აბრამოვიჩი დაინტერესებულია მის გუნდს უხელმძღვანელოს ან სვენ გორან-ერიქსონმა, ანდა, ინიაკი საესმა (ეს უკანასკნელი ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია).

„ვილაცას სურს, რომ წავიდე აქედან, მაგრამ მე მომწონს ლონდონი, კარგად ვგრძნობ თავს „ჩელსიში" და არც ვაპირებ ამ გუნდის დატოვებას." — ამბობს რანიერი. ეს სპეციალისტი დარწმუნებულია, რომ ახალი წელი ბედნიერებას და დიდ გამარჯვებას მოუტანს „ჩელსის".

„ჯერჯერობით წარმატებით ვიბრძვით ინგლისის ჩემპიონატის ოქროს მედლებისათვის" — აცხადებს კლაუდიო რანიერი.

სამი მილიონი საახალწლო საჩუქრებისათვის

ინგლისის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა სამ მილიონ ფუნტზე მეტი დახარჯა, რათა საახალწლო საჩუქრები შეეძინა საკუთარი ოჯახის წევრებისათვის. კერძოდ, თავის მეუღლეს ვიქტორიას 15-მეტრიანი იახტა და ავტომობილი უყიდა, აგრეთვე ბრილიანტის ბეჭედი, რომლის ღირებულება 1,5 მილიონი ფუნტია.

„ევერტონი" რუნის „ჩელსიში" არ უშვებს

ლონდონის „ჩელსის" ხელმძღვანელობამ 30 მილიონი ფუნტი შესთავაზა „ევერტონს" ახალგზრდა თავდამსხმელის უეინ რუნის სანაცვლოდ, მაგრამ „ევერტონმა" უარი განაცხადა ფეხბურთელის გაყიდვაზე.

ფრანჩესკო ტოტის ტკბილი სიზმრები

იტალიურ საფეხბურთო კლუბ „რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტი განაწყენებულია იმასთან დაკავშირებით, რომ „ფრანს ფუტბოლის" მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, მე-16 ადგილი დაიკავა, ხოლო ოქროს ბურთი — პაველ ნედვედს გადასცეს.

„პირველ ადგილს, მე, მაგალითად, რუუდ ვან ნისტელროის მივანიჭებდი, მაგრამ აქ არანაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სპონსორები... არასოდეს მქონია ბედნიერება, მიმეღო ასეთი ჯილდოები, წელს ჩემს თავს მესამე ადგილზე დავაყენებდი ნისტელროისა და ტიერი ანრის შემდეგ," — განაცხადა ტოტიმ იტალიურ გაზეთ „მესაჯეროსთვის" მიცემულ ინტერვიუში.

„რომას" კაპიტანი ამბობს, რომ მომავალ წელს ყველას დაუმტკიცებს თავის მაღალ კლასს.

„2004 წელს, ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიაში, შევეცდები მაქსიმალურად გამოვავლინო საკუთარი შესაძლებლობები. დიახ, იქ მე უძლიერესი ვიქნები. არ არის გამორიცხული, ევრო-2004-ის დასრულების შემდეგ წავიდე იტალიის ნაკრებიდან. თუკი „რომადანაც" წასვლა მომიხდება, იტალიაში აღარ დავრჩები და კარიერას სხვა ქვეყანაში გავაგრძელებ. ბავშვობიდან ვოცნებობდი მეთამაშა მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში და ვფიქრობ, ამას შევძლებ კიდეც. მანამდე კი „რომასთან" ერთად იტალიის ჩემპიონის ტიტულს მოვიპოვებ აუცილებლად," — თქვა ტოტიმ.

„რივერ პლეიტს" ესტრადა უხელმძღვანელებს

არგენტინულ საფეხბურთო კლუბ „რივერ პლეიტის" მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლეონარდო ესტრადა, რომელმაც მთელი თავისი კარიერა სწორედ „რივერ პლეიტში" გაძვლო.

33 წლის ესტრადა ოფიციალურად მწვრთნელის რანგში გუნდის მოთამაშეთა წინაშე 8 იანვარს წარსდგება.

„რივერ პლეიტის" ყოფილმა მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ თანამდებობა დატოვა მას შემდეგ, რაც მისმა შეგირდებმა სენსაციური მარცხი იწვნიეს სამხრეთ ამერიკის თასის გათამაშების ფინალში პერუს „სიენსიანოსთან".

ვან დერ ვაარტი „ბარსელონაში" თამაშზე ოცნებობს

ჰოლანდიური ფეხბურთის ამომავალმა ვარსკვლავმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა გამოთქვა სურვილი, მომავალში „ბარსელონას" ღირსება დაიცვას. „აიაქსისა" და ჰოლანდიის ნაკრების ფეხბურთელს ჯერ არ უსაუბრია კატალონიური კლუბის წარმომადგენლებთან, თუმცა დარწმუნებულია, რომ ახალ სეზონს „ბარსელონაში" შეხვდება.

30 მილიონი რეიესისათვის

რომან აბრამოვიჩი მზად არის 30 მილიონი ევრო გადაუხადოს ესპანურ საფეხბურთო კლუბ „სევილიას" ხელმძღვანელობას 20 წლის თავდამსხმელის ანტონიო რეიესის სანაცვლოდ. როგორც ჩანს, რუსი ოლიგარქი სერიოზულად ფიქრობს „ჩელსის" კიდევ უფრო გაძლიერებაზე. ესპანური მხარე აცხადებს, რომ რეიესს დათმობს მხოლოდ 100 მილიონის გადახდის შემთხვევაში.

რონალდო და რობერტო კარლოსი ოლიმპიადაზე ითამაშებენ

მადრიდის „რეალის" ფეხბურთელებმა რონალდომ და რობერტო კარლოსმა გამოთქვეს სურვილი დაიცვან ბრაზილიის ნაკრების ღირსება ათენში, ოლიმპიურ თამაშებში.

როგორც ცნობილია, ოლიმპიური წესების თანახმად, ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში მონაწილე ფეხბურთელთა თითოეულ ნაკრებში აქვთ ისეთი სამი ფეხბურთელის აყვანის უფლება, რომლის ასაკი 23 წელს აღემატება.

ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რიკარდო გომეშმა განაცხადა, რომ მოხარული იქნება, თუკი მის გუნდში იხილავს რონალდოსა და რობერტო კარლოსს. თუ ვინ იქნება მესამე მოთამაშე, ამას გომეში მოგვიანებით დაასახელებს.

ზიდანი: „ევრო-2004-ის შემდეგ მოვიფიქრებ..."

ზინედინ ზიდანმა ჟურნალისტებისათვის მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მიიღებს გადაწყვეტილებას, გააგრძელებს თუ არა სანაკრებო კარიერას.

„ვნახოთ, როგორ იასპარეზებს საფრანგეთის ნაკრები პორტუგალიაში და სწორედ ამის შემდეგ შემიძლია ვთქვა ჩემი დამოკიდებულება ეროვნულ გუნდთან", – ამბობს ზიდანი.

ამავე დროს, ზიდანმა ისიც თქვა, რომ საერთოდ, თავის სპორტულ კარიერას მადრიდის „რეალში" დაასრულებს.

– „რეალთან" კონტრაქტი 2005 წლამდე მაქვს დადებული. ვერ წარმომიდგენია თავი სხვა გუნდში. სწორედ მადრიდში დავამთავრებ გამოსვლას საფეხბურთო მოედანზე, – განაცხადა ზიდანმა

ნბა

„დენვერმა“ აღმავლობით ითამაშა

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში „ლოს-ანჯელეს ლეიკერსმა“ „ბოსტონი“ დაამარცხა — 105:82. გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო შაკილ ო'ნილი, რომელმაც „ლეიკერსს“ 22 ქულა შესძინა და 16-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.

ნიკოლოზ ცქიტიშვილის „დენვერმა“ აღმავლობით ითამაშა „გოლდენ სტეიტთან“ და დაამარცხა მეტოქე — 103:79. 17 ქულა კემბის ანგარიშზეა.

ვლადიმერ სტეფანიას „პორტლენდი“ სტუმრად დამარცხდა „კლივლენდთან“ 74:86, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ჯეიმსს, რომელმაც მასპინძელთა გუნდს 32 ქულა შესძინა და 10-ჯერ მოხსნა ბურთ ფარიდან.

დანარჩენი მატჩები: „საკრამენტო“ — „იუტა“ 98:89, „სან ანტონიო“ — „მილუოკი“ 89:74, „ფინიქსი“ — „ფილადელფია“ 100:92.

მიხაელ შუმახერი - „წლის ადამიანი“

ბრიტანულმა საავტომობილო ჟურნალმა „ფ-1 რასინგმა“ მკითხველებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით დაასახელა „წლის ადამიანი“. ეს ტიტული მიეკუთვნა, რაღა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონს მიხაელ შუმახერს. ნომინაციაში „წლის პილოტი“ გაიმარჯვა ფერნანდო ალონსომ („რენო“), ხოლო „წლის პერსონად“ აღიარეს ხუან პაბლო მონტოია („უილიამსი“).

ბაჰრეინში ტერაქტებს უფრთხიან

რამდენიმე დღის წინ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „ფორმულა-1“-ში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპის დროს ბაჰრეინში შესაძლოა ტერაქტი განხორციელდეს. შეგახსენებთ, რომ ბაჰრეინის გრან-პრი პირველად შეიტანეს „ფორმულა-1“-ის კალენდარში.

„უილიამსის“ მფლობელმა ფრენკ უილიამსმა განაცხადა, რომ ის არ მოელის ტერაქტებს ბაჰრეინში და ატეხილი პანიკა უსაფუძვლოა.

არმსტრონგი — „წლის საუკეთესო სპორტსმენი“

„ასოსიეითიდ პრესის“ ჟურნალისტებმა 2003 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს სახელგანთქმული ველომრბოლი, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებული, ამერიკელი ლენს არმსტრონგი. საინტერესოა, რომ მსგავსი „ტიტული“ „ასოსიეითიდ პრესისაგან“ არმსტრონგმა შარშანაც მიიღო. „ეს წელიწადი ჩემთვის მძიმე იყო. მაგრამ მადლობა ღმერთს, წარმატებულიც,“ — განაცხადა არმსტრონგმა.

სასტარტო ხუთეულები კვირის ბოლოს გამოცხადდება

ამ კვირის ბოლოს დასრულდება ნჰლ-ს ორგანიზებული გამოკითხვა „ყველა ვარსკვლავთა მატჩში“ მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულების დასადგენად. ამ დროისათვის სენსაციურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გამოკითხვის შედეგების ამჟამინდელი მდგომარეობის მიხედვით. დასავლეთ კონფერენციაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ცენტრფორვარდი მაიკ მოდანო, რომელიც, შეიძლება ითქვას, არცთუ საუკეთესო სეზონს ატარებს თავის კარიერაში. ეს მაშინ, როცა ამ სეზონის „აღმოჩენა“ პაველ დაციუკი საერთოდ არ ფიგურირებს საუკეთესო 16 მოთამაშეთა შორის. სამაგიეროდ, საუკეთესოთა შორის არიან ჯეისონ ელისონი და მაიკ კომრი, — წელს ჯერ ერთი მატჩიც რომ არ უთამაშიათ.

აღმოსავლეთ კონფერენციაში გამოკითხვებში დიდად აქტიურობენ „ნიუ-ჯერსის“ გულშემატკივრები. ამიტომაც არის, რომ ამ გუნდის ერთბაშად სამ მოთამაშეს საკმაო ქულები მოუგროვებია.

გაგაცნობთ მიმდინარე გამოკითხვის შედეგებს (პირველ სამეულებს) ამ დროისათვის:

დასავლეთის კონფერენცია:

ცენტრფორვარდები: 1. მაიკ მოდანო („დალასი“) — 54881 ხმა, 2. პეტერ ფორსბერგი („კოლორადო“) — 51878, 3. სტივ აიზერმანი („დეტროიტი“) — 43949.

თავდამსხმელები: 1. ტოდ ბერტუცი („ვანკუვერი“) — 78261, 2. მარკუს ნესლუნდი („ვანკუვერი“) — 64572, 3. ბრეტ ჰალი („დეტროიტი“) — 54372.

მცველები: 1. რობი ბლეიკი („კოლორადო“) — 70412, 2. ნიკოლას ლიდსტრემი („დეტროიტი“) — 66145, 3. ედ ჟოვანევსკი („ვანკუვერი“) — 63709.

გოლკიპერები: 1. მარტი ტურკო („დალასი“) — 51483, 2. დენ კლოტიე („ვანკუვერი“) — 46539, 3. დომინიკ ჰაშეკი („დეტროიტი“) — 37071.

აღმოსავლეთის კონფერენცია:

ცენტრფორვარდები: ჯო ტორნტონი („ბოსტონი“) — 41748, 2. მარიო ლემიე („პიტსბურგი“) — 33638, 3. ჯერემი რინიკი („ფილადელფია“) — 33133.

თავდამსხმელები: ილია კოვალჩუკი („ატლანტა“) — 93506, 2. მარტინ სენტ-ლუისი („ტამპა“) — 48234, 3. მარიან ჰოსა („ოტავა“) — 47550.

მცველები: სკოტ სტივენსი („ნიუ-ჯერსი“) — 80373, 2. სკოტ ნიდერმაიერი („ნიუ-ჯერსი“) — 71776, 3. ბრაიან ლიჩი („რეინჯერსი“) — 46923.

გოლკიპერები: 1. მარტინ ბროდერი („ნიუ ჯერსი“) — 99946, 2. ედ ბელფორი („ტორონტო“) — 57077, 3. ნიკოლაი ხაბიბულინი („ტამპა“) — 51922.

ვალიკო სანგულიას (მეგრელის) ხსოვნას

პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში 1977 წელს მოვხვდი თანამედროვე ხუთჭიდში მსოფლიო ჩემპიონატზე. მაშინ ურთიერთობები თბებოდა სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის და ჩვენთან, ქართველებთან (ჩემთან ერთად ხსენებულ ჩემპიონატზე იყვნენ რევაზ მანჯავიძე და სულიკო როგავა) შედარებით თამამად მოვიდა ქართველი ემიგრანტი, რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის თანამშრომელი ვალიკო მეგრელი. საქართველოში დაბრუნებულებმა გავიგეთ, რომ იმ დღეებში ჩვენს შესახებ ინფორმაცია გადაუცია კიდეც. მას შემდეგ აშშ-ში რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კაცს, რომელიც თხემით ტერფამდე ქართველი იყო და საქართველოს სიყვარულში იწვოდა, აღარ შევხვედრივარ. და აი, სამწუხარო ცნობა ამერიკიდან — ვაშინგტონში გარდაიცვალა ერთ-ერთი ქართველი უხუცესი ემიგრანტი ვალიკო სანგულია (მეგრელი).

ცნობილი გახდა, რომ განსვენებულს დაუტოვებია ანდერძი გარდაცვალების შემდეგ საქართველოში გადასვენებისა და ქართულ მიწას მიბარების თხოვნით. როგორც შევიტყვეთ, ახლა საშობაო დღეებთან დაკავშირებით ეს არ მოხერხდება, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად გადმოასვენებენ საქართველოში. მანამდე კი, დღეს, ვაშინგტონში, ქართველთა სათვისტომოს პატარა სასაფლაოს მიაბარებენ მის ნეშტს.

„ორშაბათს ჩვენ გადავიხადეთ ვალიკო მეგრელის სულის მოსახსენიებელი პარაკლისი თბილისში“ — გვითხრა განსვენებულის ახლო ნათესავმა ლია დავითაიამ.

ნათელში ამყოფოს უფალმა!

თენგიზ ბაჩხილაძე.

ფიდე საჭადრაკო სამყაროს გაერთიანებას 2004 წელს აპირებს

ცნობილია, რომ 2003 წელს ფიდემ ვერ განახორციელა საჭადრაკო სამყაროს გაერთიანების ვერც ერთი პროექტი. ჯერ იყო და ჩაიშალა მატჩი კრამნიკსა და ლეკოს შორის, შემდეგ უკრაინელმა რუსლან პონომარევმა გარი კასპაროვთან შეხვედრაზე განაცხადა უარი, რის გამოც ფიდემ პონომარევი პრეტენდენტის ფუნქციის გარეშე დატოვა. და ბოლოს, ვერ ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატიც, რომელიც ამა წლის ნოემბერში იყო დაგეგმილი. ახლა ფიდე იმედებს მომავალ წელზე ამყარებს. 20 თებერვლამდე ეს ორგანიზაცია განიხილავს იმ ქალაქების კანდიდატურებს, რომელთაც სურთ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება. ფიდეს ახალი გეგმის თანახმად, ამ ტურნირში გამარჯვებული შეხვდება გარი კასპაროვს და ეს იქნება პრაქტიკულად ნახევარფინალური მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. მეორე ნახევარფინალში კრამნიკი ლეკოს შეხვდება. ფინალური მატჩი კი, ბოლოს, და ბოლოს მსოფლიოს ერთ ჩემპიონს გამოავლენს და ამით საჭადრაკო სამყაროში ქაოსიც დასრულდება. ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილიუმჟინოვი იმედოვნებს, რომ 2005 წელს მაინც შეხვდებიან მსოფლიოს ახალი აბსოლუტური ჩემპიონით.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები 2-4 იანვარი



2 იანვარი, პარასკევი

HTB плюс футбол. ჩემპიონთა ლიგა. 2001-2002 წ. სეზონი. მოსკოვის „ლოკომოტივი“ — „რეალი“ (13.15). „ყველა დროის მატჩები“. 1978 წლის ფინალი. არგენტინა — ჰოლანდია (15.00). 2000 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი „რეალი“ — „ვალენსია“ (17.15), ფუტბოლ მუნდიალი (19.15). 2003-2004 წლების ჩემპიონთა ლიგის სეზონი. რუსეთის „ლოკომოტივი“ — „ინტერი“ (19.45). 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი. იტალია — გერმანია (21.50). 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი. „ბავარია“ — „ვალენსია“ (23.50). კალათბურთი. ნბა: ყოველდღიური (4.30), ჩემპიონატის მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია (5.00). ნბა-ს და აბა-ს ყველა ვარსკვლავთა მატჩი (8.00). ***HTB плюс спорт.*** ბრძოლა წესების გარეშე (12.15), ტაილანდური კრივი (15.00). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (15.55, 18.10). „ბილიარდის მეფეები“ (17.00), ჩოგბურთი. დევისის თასი. სეზონის მიმოხილვა (20.15), სპორტული ცეკვები. მე-2 ნაწილი (21.15). „ნოკაუტი“. ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე (22.30). ფიგურული ციგურაობა. საერთაშორისო შეჯიბრება. გრან-პრის ფინალი და საჩვენებელი გამოსვლები (23.30). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.00, 17.00, 18.45, 20.30), კრივი. პროფესიონალები (22.00), ყველაზე ღონიერი ადამიანი (0.30).

3 იანვარი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. იმედი. კალათბურთი. ნბა. პორტლენდი — დენვერი (15.15). ***HTB плюс футбол.*** 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი იტალია — გერმანია (13.15), ჩემპიონთა ლიგის 2001 წლის ფინალური მატჩი „ბავარია“ — „ვალენსია“ (15.00). ჩემპიონთა ლიგა. 2003-2004 წ.წ. რუსეთის „ლოკომოტივი“ — უკრაინის „დინამო“ (17.15). 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი. გერმანია — არგენტინა (19.15). „ფუტბოლ მუნდიალი“ (21.20). ჩემპიონთა ლიგა. 2002 წლის ფინალი, „ბაიერი“ — „რეალი“ (22.05). „ცხრიანი“ (0.05). ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (0.25). კალათბურთი. ნბა: მიმოხილვა (4.00), ჩემპიონატის მატჩი (5.00, პირდაპირი ტრანსლაცია). ყველა ვარსკვლავთა მატჩი. 1981 წელი (8.00). ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატის მატჩი (11.45). „ნოკაუტი“. ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე (14.55), სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი. ვაჟები. გიგანტური სლალომი (15.25). ჰოკეი. ახალგაზრდული გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (16.50, 20.20), ბრძოლა „კ-1“ ვერსიით. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი (23.20). ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი (4.30). პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის: ასელინო ფრეიტასი — არტურ გრიგორიანი. პირდაპირი ტრანსლაცია (7.00). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო ჩემპიონატი და თასი (13.00, 15.45, 18.30). კრივი. პროფესიონალები (17.00, 0.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (19.45), კიკბოქსინგი (22.30).

4 იანვარი. კვირა

საქართველოს ტელევიზია. იმედი. პროგრამა „ასი“ (18.30). მზე. ფეხბურთი 12.00). პრემიერ ლიგა (20.00), ***HTB плюс футбол.*** ესპანეთის ჩემპიონატი (13.15). მ/ჩ. 1986 წ. ფინალური მატჩი: გერმანია — არგენტინა (15.00). ჩემპიონთა ლიგა. 2003 წლის ფინალური მატჩი: „იუვენტუსი“ — „მილანი“ (17.00). მჩ. 1990 წელი. გერმანია — არგენტინა (19.55). ესპანეთის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (21.55). პორტუგალიის ჩემპიონატი. „სპორტინგი“ — „ბენფიკა“ (23.50). კალათბურთი. ნბა: „ყველა ვარსკვლავთა“ მატჩი. 1982 წ. (4.00). ჩემპიონატის მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (6.00). მიმოხილვა (9.00). ***HTB плюс спорт.*** ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი (11.20). ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (13.25, 15.25, 19.20). „საჭადრაკო მიმოხილვა“ (16.20). პროფესიული კრივი. ბრრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. ასელინო ფრეიტასი — არტურ გრიგორიანი (20.20). ჰოკეი. ნხლ-ის ჩემპიონატის მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (22.30). ტაილანდური კრივი (1.15). EUROSPORT. ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი და ევროპის ჩემპიონატი (12.00, 15.00, 16.15, 19.15, 20.45, 2.00). კრივი. პროფესიონალები (23.45).

30 დეკემბერ - 1 იანვრის პროგრამა იხ. მე-2 გვ.

კროსვორდი № 101



თარაზულად: 6. ცნობილი საფეხბურთო მწვრთნელი არიგო ... 9. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი, 10. სპორტული სანახაობა, რომელიც გასართობი ხასიათისაა, 11. ცნობილი ვეტერანი შოტლანდიელი ფეხბურთელი, 12. წარსულში ცნობილი ქართველი ძალოსანი, 13. საჭიდაო ხალიჩა, 14. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია, 15. პოლონეთის საფეხბურთო გუნდი, 17. საბჭოთა პერიოდის ცნობილი ფეხბურთელი, 18. ტანვარჯიშული იარაღი, 19. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, 21. უნაგირის შემადგენელი ნაწილი, 22. ქალაქი, რომელსაც საბჭოთა კავშირის პერიოდში ჰყავდა საფეხბურთო გუნდი კარპატი, 23. ინვენტარი, რომლითაც საფეხბურთო მოედნიდან გაჰყავთ დაშავებული სპორტსმენი, 24. მოჭადრაკე ლანჩავას სახელი, 25. შვეიცარიის საფეხბურთო კლუბი, 26. წარსულში ცნობილი ქართველი ფალავანი.

შვეულად: 1. საქართველოში მოღვაწე საფეხბ. მწვრთნელი, 2. შუშაკის სახელი, 3. „ინტერის“ ცნობილი ფეხბურთელი, 4. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 5. რუსი სპორტსმენი, რომელიც წარსულში ერთდროულად წარმატებებს აღწევდა როგორც ფეხბურთში, ისე ბურთიან ჰოკეიში, 7. თბილისის „დინამოში“ მოწვეული ფეხბურთელი, რომელმაც სსრ კავშირის ჩემპიონატის ორი მედალი მიიღო, 8. კამერუნელი ფეხბურთელი, 1998 წ. მს. ჩემპიონატის მონაწილე, 13. წარსულში ცნობილი დანიელი მოჭადრაკე, 14. სპორტის სახეობა, 15. ვეტერანი არგენტინელი ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონი, 16. ლეგენდარული ქართველი ხელბურთელი, 19. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 20. ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელი.

№100 კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 6. მაისურაძე, 8. „რეჯინა“, 9. ხმალი, 11. კილაძე, 13. „ვისლა“, 15. კორეა, 17. სალო, 18. „ოფი“, 19. რინგი, 23. „ბასტია“, 24. აბუსერიძე, 26. ჭოკი, 27. ილიევი, 28. აუზი.

შვეულად: 1. „პარმა“, 2. ისელიძე, 3. „პაოკი“, 4. ლერუა, 5. პონი, 7. აჯოევი, 10. ლიატო, 12. აკრობატი, 14. „სპარტაკი“, 16. რეი, 20. იარდი, 21. ტაიჩი, 22. ასტე, 25. ძუა.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 2004 წლის 6 იანვარს

საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(ოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

№ 100-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ლc4 — 2. მc3X, 1. ..... ედ5 2. ლd3X, 1. ..... ეe5 2. მf:d6X, 1. ..... ლe5 2. მg5X, 1. ..... ლ:f5 2. კf3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ ბაჩხილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: gazeti-lelo@nm.ru